



საკოლბითკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა ღამს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შუბრათ.


ხელის-მოწერა მაიღებს: თფლისში „წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

შინაარსი: რედაქცია ნ. ყორღანისასი.—ხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“—ს კორესპონდენციები.—პოლიტიკური მიმოხილვა.—ჩვენი სახიობა.—წერილი ბათომიდან №-სა.—ქალის ბრძოლა უფლებებისათვის S—II-სა.—საპიციენო განყოფილება: 2—ყვავილი.—„მარტხი“, მოთხრობა ჩეხოვისა.—წერილები რედაქციის მიმართ.—„კვალის“ ფოსტა და განცხადებები.

რედაქცია.

ეს რამდენიმე ხანია ჩვენში ერთი საყურადღებო ჩვეულება დამკვიდრდა. ყოველ ამ დროზე, ჩაზამთრებისას, ჩვენ საზოგადოებაში იწყება სჯა-ბაასი ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობის შესახებ, და რამდენათაც უკუხლოვდებით იანვარს, იმდენათ ეს ბაასი ძლიერდება და ათასნაირი ხმები ვრცელდება. ზოგს სურს ახალი დრო გამოშვებითი გამოცემის დაარსება, ზოგს—ძველის შექმნა, ზოგსაც არსებულის ხელის-შეწყობა და დახმარება. ერთი სიტყვით, სეზონი ჟურნალ-გაზეთის პროექტებისა მთელი თავისი ძლიერებით წინ დგება და იპყრობს საერთო ყურადღებას. ამ დროს იშვიათათ შეხვდებით ისეთ კაცს, რომელიც „ერთ გაზეთს“ მაინც არ ნატრობდეს. ნეტავი რედაქტორი ვიყო და მაშინ ნახავს ქვეყანა რა ძალასაც გამოვიჩინ, გესმის ერთისაგან; ახ, რა ძნელია სხვის ორგანოში მუშაობა, საკუთარი ორგანოსთანა ღმერთს არაფერი გაუჩენია—ობრავს მეორე; არა, წერე, წერე—ჩამფრენიან, სად ვწერო, სხვის ჟურნალში? კითხუ-

ლობს მესამე და თვითონაც კითხვითი ნიშნით კეთდება. და ასე, ყოველგან უკმაყოფილება და სამტურავი ჩაღდება. თითოეულს თავის რედაქციაში სურს იშრომოს, თითოეულს თავის „დავითში“ სურს იკითხოს და რადგანაც ეს მოუხერხებელია, ამიტომ ბოდიშს იხდიან, ნურას უკაცრავათ თუ ასეთი ნიჭიერი კაცი ასე უქმათ ვატარებ სიცოცხლესო. ამას ბრძნული კილოთი ამბობს ხშირათ ისეთი, რომელსაც არასოდეს მოკითხვის წიგნის მეტი არა შეუდგენია-რა. ამიტომ ყველა ეს ოხვრა-გოდება მხოლოთ იანვრამდის გასტანს, იანვრიდან თანდათან კლებულობს და თვის ბოლოს მთლათ ერთიანათ ჰქრება, ჰქრება მეორე ჩაზამთრებამდის, რასაკვირველია. აი ამ ლაპარაკში და ნატურაში ვატარებთ თვეებს და წელიწადებს. ხანდახან, ათასში ერთხელ, ბედი გავგიღიმებს, ახალი ორგანო დავგვებდებ, მაგრამ ერთ წელს შემდეგ ისიც ბერდება, ჰქნება და სამარის კარებს უახლოვდება. ასე რომ ახალი და ძველი—ორივე ერთ გზაზე მიდის, სიცოცხლე და მოძრაობა ორივეს აკლდება.



ამ ნაირათ, ჩვენ მწერლობაში რაღაც მოჯადოვებული წრე გაკეთდა. ბევრი ორგანოა—მაინც არაფერი გამოდის, ცოტაა და სულ არაფერი. რა არის ამის მიზეზი? რით უნდა აიხსნას ეს საოცარი მოვლენა? შეიძლება აქ მკითხველი საზოგადოება იყოს დამნაშავე? შეიძლება ქართველ ხალხს კითხვის მოთხოვნილება არ აქვს და ჩვენ მას ძალათ ვახვევთ თავზე? არა, არც ერთი ეს მართალი არ არის. მკითხველთა რიცხვი დღეს გაცილებით მეტია, ვინემ ამ ოცი წლის წინეთ იყო, კითხვის სურვილი დღეს გაცილებით უფრო ძლიერია, ვინემ ის ოდესმე იყო. მკითხველი, დიდი მოთმინების მექონე უნდა იყოს, რომ იმ ათას ნაირ ხურდამურდას, რომელსაც მას მწერლობაში აწვდიან, ასე შეუღრკელათ ეტანება. აშკარაა, მას სწყურია კითხვა, ცოდნის შეძენა, ახალის და ძველის გაგება და თუ მწერლობა მაინც ვერ გაცხოველდა—ამის მიზეზი ის ვერასოდეს ვერ იქნება. თუ კი მწერალი მკითხველს ვერ აკმაყოფილებს—ცხადია ეს მწერლის სისუსტეა და მკითხველის სიძლიერე. თუ კი მწერლობა ცხოვრებას ვერ ეწევა—ცხადია ეს მწერლობის სიზანტეა და ცხოვრების სიჩქარე.

ღა აი, დააარსე გინდ ერთი გაზეთი და გინდ ასი—სანამ ის ზანტი და ჩლოუნგი იქნება—ზანტი და ჩლოუნგი იქნება მწერლობაც. მართალია ჟურნალ-გაზეთობა არ შეიცავს მთელ მწერლობას, მაგრამ ის უქვევლათ მას მეთაურობს და წინ უძღვის. და მართლაც, იშვიათია ისეთი პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი და სხ., რომ მას რომელსამე დრო-გამოშვებით გამოცემაში არ დაეწყოს წერა. ის პირველათ, როგორც მორცხვი და გამოუცდელი, დიდი მოკრძალებით შეაღებს ხოლმე რედაქციის კარებს და თითქმის აკანკალებული თავის ხელ-ნაწერს რედაქციას წარუდგენს მსჯავრის დასადებათ. და ახლა, წარმოიდგინეთ, რედაქტორი—ზანტი და უსაქმო, რომელსაც ახალი კაცის თხზულების კითხვა და ან მისი შესწორება ჭირივით ეზარება. განა ის არ იქნება დანაშაული იმაში, რომ მის წინაშე მდგომმა ნიჭიერმა ახალგაზდამ ვერ ჰცნოს თავისი ნიჭი და სამუდამოთ დატოვოს მწერლობა? რედაქციის ცოტა უყურადღებობაც კი ხშირათ წყვეტს ასეთი პირების საბოლოო ბედ-იღბალს.

მაგრამ ვთქვათ, რედაქციამ კიდევაც მოიწონა ახალ-გაზდა მწერლის ნაწარმოები, კიდევაც დაბეჭდა და საზოგადოებასაც გააცნო, ეს კიდევ არ ნიშნავს მისი მოვალეობის შესრულებას. ახალი კაცი, როგორც ვთქვით, გამოუცდელია, ის დარწმუნებული არ არის თავის თავში, თავის ძალაში; მას ეჭირვება დახმარება, ხელის მომართვა, გზაზე დაყენება. ვინ უნდა გაუწიოს ეს იმას თუ არ

რედაქციამ, რედაქტორმა? და ახლა წარმოიდგინეთ რედაქცია უვიცთა, რედაქტორი განუვითარებელი. ვის რა დახმარება უნდა გაუწიონ ასეთმა პირებმა? რა უნდა ასწავლონ, როცა თვითონ არა იციან—რა, რა იდეალი უნდა ჩაუნერგონ, როცა მათ თვითონ არ აქვთ ჩანერგილი? რა ნაირათ უნდა უხელმძღვანელონ სხვას, როცა თავის თავსაც ვეღარ ხელმძღვანელობენ? ასეთ რედაქციასთან დაახლოვება არა თუ გაწრთვნის და განავითარებს მწერალს, არამედ გზა-კვალს აუბნევს და სამუდამოთ გაათახსირებს. ამიტომ, ცოტა ოდნავ თავმომწონე მწერალი უფრთხის ასეთ რედაქციას, არ ეკარება ასეთ ხელმძღვანელთ და, რაღა გასაკვირველია, მათი ორგანოც დაწვრილმანდეს და დაეცეს. რედაქცია, რომელიც არ ცდილობს ახალ ძალთა გამოწვევას და თავის გარშემო შემოკრებას—არ არის ღირსი რედაქციის სახელისა და მიჯაჭვულ უნდა იქმნას სამარცხვინო ბოძზე. ასეთი ხალხი თუ ბინადრობენ რედაქციაში—ეს იმიტომ კი არა რომ გული შესტკივათ მწერლობაზე, ქვეყნის მდგომარეობაზე, არამედ იმიტომ რომ ან ჯამაგირი აიღონ და ჯიბეს ემსახურონ, ან და სახელი გაიკეთონ და თავის თავს ემსახურონ, ე. ი. იმათ ამოძრავებთ ან „ქამა-სმა დიდათ შესარგი“ ან და გაზეთადებული თავმოყვარეობა. და აი ასეთი ხალხი უნდა გამოირეკოს ყოველი რედაქციიდან, ისე როგორც ერთხელ იერუსალიმის ტაძრიდან გამოირეკა მოვაჭრენი და ფარისევლნი.

მეტყვიან: რედაქცია ხშირათ კერძო პირს ეკუთვნის და მას როგორც უნდა ისე მოაწყობს, გარეშეთ რა ხელი აქვთო. მართალია, რედაქცია შეიძლება კერძო პირის საკუთრება იყოს, მაგრამ ის ემსახურება საზოგადოებას, მაშასადამე ის არის საზოგადო დაწესებულება და, როგორც ამ ნაირი, საზოგადოების განსჯას და განკითხვას უნდა ექვემდებარებოდეს. საზოგადოება მოვალეა ჩაერიოს ყველა თავის დაწესებულებაში და მას უმაღლესი ზედამხედველობა გაუწიოს. რედაქტორს არასოდეს არ აქვს იმის უფლება, აქაო და ორგანო მისია, რაც უნდა ის დაბეჭდოს. შეიძლება ის ერთი ყოველათ უვიცი და საექვო ღირსების კაცია. მაშ მთელი ეს მისი სულიერი არარაობა საზოგადოებასაც თავზე უნდა მოახვიოს? ასეთი პირის ხელში ორგანოს ჩავარდნა დიდი უბედურებაა მკითხველებისათვის და ესენიც მოვალენი არიან დაიცვან თავის თავი ამგვარი ვაჭბატონებისაგან. ეს მხოლოთ ჩვენში შეიძლება ასეთი გარემოების უყურადღებოთ დატოვება, მაგრამ იქ, სადაც საზოგადო ზნეობა, საზოგადო დისციპლინა და გემოვნება შემუშავებულია, ასეთი თავხედობა დაუსჯელათ ერთ დღესაც ვერ დარჩება

და ორგანოც იძულებულია ან დამორჩილდეს, ან და გაჰქრეს.

ვიმეორებ, რედაქცია საზოგადო დაწესებულებაა და საზოგადოებაც მოვალეა მის სიფაქიხეს და სიწმინდეს ყურადღება მიაქციოს. და ეს განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ასე ნაკლებია ასეთი დაწესებულება; სარბიელი ჩვენი მოღვაწეობისა ერთობ ვიწროა, ჩვენში არ არის ყრილობები სხვა-და-სხვა კითხვის გადასაჭრელათ, არ არის კლუბები და სხვა ასეთი ცენტრები საზოგადო საქმეების ყოველ-მხრივ განსასჯელათ, არა გვაქვს მომზადებული ოჯახები სხვა-და-სხვა აზრების გასატარებლათ — ერთი სიტყვით არც ერთი დაწესებულება არა გვაქვს ისეთი, რომელიც ოდნავ მაინც უახლოვდებოდეს მწერლობას თავისი მნიშვნელობით და დანიშნულებით. და აი ამ ერთათერთ უძლიერეს იარაღს ჩვენ უნდა გულმოდგინეთ ვდარაჯობდეთ და მის ზნეობრივ სიწმინდეს ენერგიულათ ვმთარველობდეთ.

ასე თუ ისე, რედაქციის მოვალეობაა გამოიწვიოს ახალგაზდა მწერლები და მათ მთარველობა გაუწიოს, ააფრილოს დროშა ზნეობრივი სიფაქიხის და ის ცხოვრებაში გადაიტანოს, გაწმინდოს თავის თავი ყოველ საექვო ელემენტებისაგან და ორგანოს სათავეში მართლა ქვეყნის გულ-შემატკივარნი ჩააყენოს.

ეს არის რედაქციის ზნეობრივი თვისებები.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა ორგანოსთვის, გარდა ზნეობრივი თვისებებისა, არის აგრეთვე გონებრივიც,—ეს მისი მთავარი მანათობელი ლამპარია. საზოგადო ცხოვრება ძლიერ რთული და დაუდგრომელია. ყოველ წუთს, ყოველ საათს, ყოველ დღეს ახალ-ახალ მოვლენას აღმოაცენებს და მწერლობის ყურადღებას იპყრობს. და აი, ჟურნალ-გაზეთობის დანიშნულებაა ყველა ეს აღნიშნოს, გაარკვიოს და ახსნას. ახლა წარმოიდგინეთ რედაქცია, რომელიც ვერც ერთ ამას ვერ ხედავს, ვერ არკვევს და ვერ ხსნის. ის რაღაც თავისთვის ჩხირკედელაობს, ხოლო ცხოვრების ტალღები კი თავისათვის მიმდინარეობს. ამაზე უფრო უძლიერი რედაქცია კიდევ შეიძლება? ეს რედაქცია კი არა, რაღაც უთავებოლო ადამიანთა შემთხვევითი თავყრილობაა, რომელთაც არა უწყიან რისთვის მოსულან, რას შვრებიან და რა უნდა ქმნან. ეს არის შემთხვევითი რედაქცია და მისი საპატრონო ორგანოს ნომრები შემთხვევითი ნომრებია. აქ, რასაკვირველია, თქვენ ვერ ნახავთ რაიმე გატარებულ მიმართულებას, ვერც ერთ ნათელ აზროვნებას და სპეტაკ ლტოლვილებას. ნომერი, მართალია, სავსეა — მაგრამ სავსეა შემთხვევითი წერილებით, რისთვის

ან ვისთვის იბეჭდება ერთი ან მეორე რედაქციაში არავინ იცის. მოვიდა წერილი და დაიბეჭდა — მორჩა და გათავდა. ნომერი აივსოს, ნომერი გამოვიდეს — აი ასეთი რედაქციის მთელი მიმართულება. ასეთი თვალ-აბნეული ადამიანების მწერლობაში გაბატონება ნიშნავს გაბატონებას გონებრივი დაცემისას და საზოგადო დაქვეითების.

არა, ასეთი რედაქცია — რედაქცია არ არის. რედაქციას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ერთი სახელმძღვანელო დედა აზრი, ერთი თვალთა ხედვის ისარი, ერთი საზოგადო შეხედულობა, რის საშუალებით ის ხედავს, არკვევს და თავ-თავის ალაგს უჩინს ყოველნაირ საზოგადო მოვლენას, როგორც უახლოვესს, ისე უშორესს, როგორც დიდს, ისე პატარას, თვით პაწაწინტელსაც კი. ის, ყოველ დღიურ ცხოვრების კორიანტელში გახლართული, არ ივიწყებს შორეულ წერტილს, საითკენაც ის მიიმართება; წვრილმანი მოვლინებებით გარემოცული არ ივიწყებს მთელს, რომელიც ამ წვრილმანებისაგან შედგება, ის დგას იმ გონებრივ მწვერვალზე, რომელსაც პრინციპი ეწოდება, აქედან ეშვება დაბლა, ყოველ დღიურ ქირ-ვარამში მონაწილეობის მისაღებათ, თავისი აზრის ყოველ კუთხეში მოსაპნევათ და ცხოვრებაში ჩასაქსოვათ...


ასეთი რედაქცია საზოგადოებაში ამკვიდრებს ერთ განსაზღვრულ მიდრეკილებას, ამგვრებს ერთ განსაზღვრულ მიზანს და ამზადებს მებრძოლთ ამ მიზნის მისაღწევათ. ამით ის ამუშავებს ადამიანებში ხასიათის სიმტკიცეს, შრომის მოყვარეობას, გონებრივ ვარჯიშობას და იდეურ გატაცებას, ე. ი. ყოველივე იმას, რითაც ადამიანი მოქალაქეთ ხდება...

მოკლეთ, სიფაქიხე ზნეობის, სიმტკიცე აზროვნების — აი ძირითადი თვისებები ყოველნაირი რედაქციის და რანაირი მიმართულებისაც უნდა იყოს იგი, რომელი ბანაკსაც უნდა ეკუთვნოდეს; ღირსია ყველასაგან პატივისცემის და დაფასებისა. და ჩვენც ასეთ ქართულ რედაქციას სიამოვნებით ხელს გავუშვებთ და ვეტყვით: კეთილ იყოს შენი დაბადება!..

ბ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბები

ბაქოს ნავთის ახალგაზდა მწარმოებელმა ბ. სტეფანე კონსტანტინესძე ზუბალაშვილმა „ჯეჯილის“ რედაქციას გამოუგზავნა ორასი მანეთი და თხოვა ამ ფულით „ჯეჯილის“ გასული წლების ნომრები



დაურიგოს საქართველოს სხვა-და-სხვა ღარიბ სკოლებს. „ჯეჯილის“ რედაქტორი ქალ. ანასტასია წერეთლისა დიდ მადლობას უძღვნის ბ. ზუბალაშვილს ამისთანა უხვი შემოწირულებისათვის და თხოვს ღარიბ სკოლებს აცნობონ თავისი აღრესები.

ბ. ივანე როსტომაშვილს ნება მოსვლია ქართულ ენაზე გამოსცეს ყოველ-თვიური ჟურნალი „მოგზაური“, რომელშიაც დაიბეჭდება განსაკუთრებით ისტორიული, არქეოლოგიური და პედაგოგიური წერილები. ვისურვებთ რომ ჟურნალი შექმნილიყოს ჩვენი ისტორიის შემუშავების ნამდვილ ორგანო. ამისათვის ბ. როსტომაშვილი კარგს იხამს მოუწოდებდეს მცოდნე პირთ და შეადგენდეს საისტორიო წრეს.

მკითხველს ეცოდინება, რომ თფილისში არსებობს რუსების გადმომსახლებელი კომიტეტი რუსეთიდან ამიერ კავკასიაში. კომიტეტის დამაარსებელია ბ. ვ. ველიკო და ბ. ბუტირკინი. 21 ამ თვეს კომიტეტმა გახსნა ყარაიხში სასწავლებელი გადმომსახლებულთათვის და ამის გამო ბ. ბუტირკინმა მისალოცი დებეშა გაუგზავნა მის უდიდებულესობას მიხეილ ნიკოლოზის ძეს. პასუხათ ბ. ბუტირკინმა მიიღო შემდეგი დებეშა:

„ძლიერ გამდლობო გუშინდელ დებეშისათვის: მხარებს კარგი საქმის დაწყება, მაგრამ ძალიან ვშიშობ, რომ რუსის გადასახლებულები ყარაიხში გაცილებით უფრო დაავაშოფდებიან ციუბ-ცხელებით, ვინემ ადგილობრივი მცხოვრებნი“. მიხეილი.

ლაგოდებში და დედოფლის წყაროზე გაიგზავნა სახელმწიფო ქონებათა კანცელარიის მოხელე ხლევანსკი იმისთვის, რომ მან იქ მოაწყოს ადგილები რუსის გლეხ-კაცების გადმომსახლებლათ.

საჩივარი ასკანის სოფლის მწერლისა „კვალის“ რედაქტორზე, რომელიც იყო დანიშნული გასარჩევათ 24 ამ თვეს, ამ დღეს არ გარჩეულა და გადაიდვა შემდეგისათვის.

ქართული დრამატიული საზოგადოების წევრთა კრება მოხდება 5 ნოემბერს სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დილის 11 საათზე.

კიდევ მატარებლების დამტკრევა. 27 ამ თვეს შუადღის პირველ საათზე ყარსის რკინის

გზაზე პოსაჟირის მატარებელი დაჯახებია საქონლის მატარებელს და ორივე დამსხვრეულა. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 50-მდეა. ნეტავ როდის მოეღება ბოლო ამ შემადრწუნებელ ამბებს.

განზრახვა აქვთ თფილისში დააარსონ ორი სასულიერო სასწავლებელი, რომლებშიაც უნდა მომზადდნენ მასწავლებლები კავკასიის მკვიდრთა სოფლებში სამოღვაწეოთ. ერთ ამ სასწავლებელთაგანს ერქმევა საეკლესიო-სამასწავლებლო მეორეკლასიანი სასწავლებელი, განსაკუთრებით იმათთვის ვინც თათრული ენა იცის (რუსი, ქართველი, აისლრი და სხ). და ვინც შემდეგ კურსის გათავებისა მოინდომებს თათრების სასწავლებლებში მასწავლებლობას. ხოლო მეორეს ერქმევა უმაღლესი საეკლესიო ინსტიტუტი, საიდანაც გამოვლენ განათლებული და მცოდნე პედაგოგები. ინსტიტუტში ასწავლიან აგრეთვე მეურნეობას და სხვა ხელობებს („ახ. მიმოხ.“)

იმავე გაზეთის სიტყვით, ამ დღეებში თფილისში შემდგარა სომხურ წიგნების გამომცემელთა ორი ამხანაგობა, ერთს ჰქვია „გამომცემელი ამხანაგობა ა. არასხანიანი და კომ.“ ხოლო მეორე უფრო ფართე და დიდია და მას ეწოდება მხოლოდ გამომცემელი ამხანაგობა.

დღეს, 29 ამ თვეს, დანიშნულია თფილისის სახალხო კითხვების კომისიის წლიური საზოგადო კრება სამეურნეო საზოგადოების დარბაზში საღამოს 8 საათზე.

ნოემბრის დამდეგს ქუთაისში დაიწყებს მოქმედებას მეაბრეშუმეთა ამხანაგობა „კოლხიდა“, რომელიც წელს შედგა იქ წინანდელ ამხანაგობის ნანგრევზე.

სოხუმის ქალაქის თავს ბ. ბერენსს საბჭოსათვის თხოვნა მიუცია გამათავისუფლეთ თანამდებობისაგანო. საბჭოს ამაზე უარი უთქვამს იმ მოსაზრებით, რომ ის მთავრობის დაყენებულია და არა საბჭოს ამორჩეული.


ქუთაისის სახალხო წარმოდგენების მეთაურს ქალ. ეკ. ნიკოლაძეს ქალაქის გამგეობისათვის უთხოვნია თეატრის დარბაზი კვირაში ერთხელ მუქთათ დაგვითმეთ სახალხო წარმოდგენებისათვისო. ვნახოთ დააკმაყოფილებენ ამ თხოვნას თუ არა.

„კვალის“ კორესპონდენციები

სადგურ გრაკლის ახლო მიამხდარ მატარებელთა დამტვრევით დაშავებულნი თანდათან ეწე-რებიან რკინის გზის საავთმყოფოებიდან. ამ კვირაში გამოეწერენ ჯანელიძე და პოგოლსკი. მოკლული ობერ-კონდუქტორი გაბუნია დიდი ამბით გაასვენეს 16 ამ თვეს თავის სოფელში. საწყალი 25 წელიწადია თურმე საქონლის მატარებელზე კონდუქტორათ ყოფილა და ამავე თანამდებობაში დალია სული. გრაკლის უფროსის თანაშემწე ბ. კეხელი; რომლის შეცდომით ეს უბედურება დატრიალდა, დიდი ხანია ამ სამსახურში ყოფილა და არასოდეს არავითარ უწყეს-რიგობაში არ ყოფილა შენიშნული.



ამ თვის 22-ს რკინის გზის ვაგონში ავქალის ახლოს უეცრათ გარდაიცვალა თფილისის ქართველობაში დიდათ ცნობილი ალექსანდრე ბაქრაძე. ალექსანდრემ 1875 წ. დაასრულა პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტი და მას მერე მსახურებდა კავკასიის სატყეო უწყებაში. 1890 წლიდან ის ასრულებდა ტყის რევიზორის თანამდებობას. ის იყო თფილისის ქალაქის ხმონათ 1890—1894 ს. როცა პირველათ შედგა ქართველთა პარტია საბჭოში. ალექსანდრე ამ პარტიის ერთი სინილისიერი და ენერგიული მოღვაწეთაგანი იყო. იმან დიდი შრომა გასწია საქართველოს ნაწარმოებთა გამოფენის გასამართავათ წლივანდელ პარიეტის გამოფენაზე, ის იყო ამ საქმის ერთი მეთაურთაგანი და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ არა მისი დახმარება და შრომა—ეს პაწია გამოფენაც ვერ მოხერხდებოდა. მაგრამ ალექსანდრე განსაკუთრებით შესანიშნავი იყო როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი. ამას ყოველთვის გაიტაცებდა ყოველი ახალი და სასიკეთო საქმე; თუმცა წინ არასოდეს არ გამოჩნდებოდა, მარა შეუმჩნევლათ, სხვის დაუნახავათ, მულამ შემწეობას აძლევდა. მისი დახმარებით და მფარველობით არა ერთ და ორ ქართველს გაუკაფავს ცხოვრების გზა და რიგიან მოქალაქეთ შექმნილა. საზოგადოათ, ის იყო პატიოსანი, გულწრფელი და სინილისიერი ქართველი და ასეთი კაცის დაკარგვა დიდ დანაკლისს შეადგენს ჩვენი პატარა საზოგადოებისათვის. მის გასვენებას, რომელიც მოხდა 21 ამ თვეს, დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო და მის კუბოს ამკობდა მრავალი გვირგვინებით.



ს. ხაშვი (თფილისის მაცხა). ხაშვიანც კათავდა რთველი. მაგრამ რა? არც რთველი იყო უკეთესი ზურის მოსავალზე. ჯერ იყო და კალაქებზე მოტანილი ძნა აუჯგჯილდათ ჩვენ სოფლებებს. ჩაუშლიდენ და გასაღვი ეყარა კალაქი სშირათ მთელი კვირას ცუდი ამინდების გამო. გამუდმებით—ან წვიმდა, ან ჟინჯიანი დღე იდგა. თუ შიგა და შიგ. მზიანი და მწმენდილი დღე გამოერეოდა, როგორც ღვთის წყალობას ისე ემუკრებდენ დახაგრული გლეხები და ორი სამი დღის სამუშაოს ერთ დღეში ასრულებდენ. ამავე წვიმიანმა ამინდებმა ცუდი გავლენა იქონია ვენახებზედაც, გაუჩნდა ვახს ობი და ნაცარი, მოედო როგორც კეთროვნება და ველარა ეშველა რა მოსავალს. ცუდი ამინდები იდგა ენკენისთვის ნახევრამდის; მას შემდეგ კი კაი დარი დაიქონა და აქამდის დაუმწიფებელი უურძენი ცოტა გამოაბრუნა, გემო და ფერი მისცა; მაგრამ ახლა სხვა მტერი გაუჩნდა ვენახს: თავვი და თათარი. (ამბობენ აგრეთვე, რომ ღოკოკინამაც აზარალა). წელს თავვი ძალიან ბევრი განილია ვენახებში და უურძენი უფუტკებია; რაც თავის დაუკლია, თათრებს (მეზობლათ ცხოვრებენ ს. მულანში ხაშვის ზირდაზირ იგრის გაღმა, მარჯვენა ნაპირზე) შეუსრულებათ. გამდიდრდენ თურმე იორს გაღმიდან, დაჭრეფავდენ, ავსებდენ გოდრებს და წაიდებდენ არხეინათ. თუმცა ბევრჯელ მოჭნდენიან შეტაკება ვენახის ზატრანებს და დაუზატიუბელ სტუმრებს ამის გამო, მაგრამ უკანასკნელთ მანც თავისი არ დაუშლიათ; ზირველთ კი ველარაფერი გაუწევიან, ორფეხს თავგები ვერ აულაგავთ. ადმინისტრაციას თურმე იმ დროს არ ეცადა, რადაცა საქმე ქქონია და უური არ უთხრავებია იმ უბრალე პატარა ბიჭურ „კინკლასისათვის“. დამე სშირათ მტევენებს გოდრობით ზოულდებდენ. აი მაკალითი: ერთ გლეხს დაეკრაფა ვენახი, ზოგი წაედო მარანში და ორი გოდარი კი უურძენით სავსე ველარ მოესწრო, აქვე ვენახში დაედგა და თითონ ზევიდან გადასწოლოდა დასაძიებლათ, ვითომ ველარ შემომბედავენო, მაგრამ მოსულიყვენ თათრები, იმდენი თავხელობა ეხმარათ, რომ შეკებდნათ მისთვის; გადმოედოთ გოდრებიდან, ორი ზედ დასწოლოდა გლეხს, ორს კი წამოკვიდნა გოდრები და წასულიყვენ. როცა ედრავნათ, იმ ორსაც გაემოთ გლეხი და წაბრძანებულიყვენ დაუსჯელათ.

ამ მიზეზების გამო წლევენდელი მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. იქამდის ნაკლები, რომ ზოგს იმის ნახევარიც არ დაუდგათ, რისც მოლოდინი ქქონდათ. რასაკვირველია, როცა ასეთი მტერი მოსავალია, თასი მატულობს, ამიტომ ზოგიერთმა გლეხმა (და ქალაქელმა ვაჭარმა) სხვისი ვენახებიც შეიფიდეს უურძენათ, რომ შემდეგ მოგებით გაეიდნა. მაგრამ ჯერ თითონვე დაუჯდათ

ძვირათ — ჩაფი 4 5 მან. (ჩაფი=4 1/2 თუნგა). დვი-
ნო საკმაოთ რიგანი დადგება, ე.უმტა შეიძლება წინა
წლებისაზე ნაკლები იყო.

ფასმა ხომ ახლავე აიწია. ჯერ დაუდუღარ ტკბილებში
აძლევეს სანაღნეშათ თუმანს, მაგრამ მცნოვრების არა უი-
დახს, რადგან იმედი აქვთ, რომ ფასი უფრო მაიმატებს
— და, მგონი, მართალიც არიან. დმერთმა ინიბოს, იმე-
დი არ გაცრეუბდესთ, თორემ ეს არის ამათი საცხოვ
რების წყარო.

ხაშმს დიდი ხნის სურვილი ძღავს უსრულდება.
კარგა ხანია, რაც აქ აღარა ჭეუვლათ ფერშალი და სოფელი
უხატრონო ავთმყოფებით იყო სავსე. — ექიმი ჩვენ სო-
ფელზე კარგა მოშორებით არის და მოყვანა ძვირათ
უჭადებათ. ახლა კი ეს ნაკლი ივსება. სოფლის მამასახ-
ლისის თომა ქაქრაშვილის მეცადინეობით სოფელს მოჭ-
ყავს ფერშალი წელიწადში ოცდათორმეტ თუმანთ (320
მან). მხოლოთ ერთი ეს არის საფიქრებელი და უხერხული
ამ საქმეში, რომ შეიძლება ამ ფერშალმა ქართული
ძალიან ნაკლებათ იცოდეს (მე პირადათ ვერ ვიცნობ,
ასე გადმომცეს), რადგანაც უცნო ტომელია (ფრანკია
მგონი), მაგრამ, ამის და მიუხედავათ, მაინც კაი და სა-
სარგებლო საქმეა მისი მოწვივა.

დათიკო

ქ. სიღნაღი. ჩვენმა ქალაქის თვით-მართველობის
წარმომადგენლებმა გაათავეს ოთხი წლის სამსახური. რა გა-
აკეთეს ქალაქის მამებმა ოთხი წლის განმავლობაში? ამანზე
შემდეგ მოვასწავნებ „კვალის“ მკითხველებს, ახლა მინდა ახა-
ლი არჩევნების ამბები გავაგებო. ხმონების არჩევა დაიწყო
11 ოქტომბერს თვით-მართველობის შენობაში. ამ დღეს
ამოირჩიეს 12 კაცი. ეს სიღნაღის მეორე არჩევანია. (პირვე-
ლი იყო 1896 წელს), აი სახელი და გვარი არჩეულების:
1) ვართან ენაქოლოფიანი—41 თეთრი 22 შავი (ქალაქის
თავის თანაშემწეა) 2) ვართან ავაქიანი—35 თ. 27 შ. (კერ-
ძო ადვოკატი); 3) არშაკ იაროვი—41 თ. 21 შ.; 4) სტე-
ფან ტერ-ავაქოვი—50 თ. 13 შ. (ახლანდელი ქალაქის თავი);
5) ივანე საფაროვი 43 თ. 19 შ. (ცხოვრობს დედოფლის
წყაროზე, იზვიათათ შოდის სიღნაღში); 6) გეურქ ისაევი 34
თ. 28 შ. (ვაჭარია); 7) სერგო აფრიამოვი 37 თ. 25 შ.
(ვაჭარია); 8) ნკა ამირხანოვი 41 თ. 21 შ. (სტოლ ნაჩაღ-
ნიკია მაზრის სამმართველოში); 9) სერგო სარქისოვი 34
თ. 21 შ. (ვაჭარია); 10) წყალობ ლინოზოვი 31 თ. 21 შ.
(კერძო ვეჟილია); 11) ტიგრან სერებრიაკოვი 37 თ. 15 შ.
(მომეტებული წილი ლაგოღენში ცხოვრობს) 12) იოსებ თაი-
როვი 28 თ. 24 შ.. 22 ოქტომბერს ამოირჩიეს შემდეგი
სამი ხმოსანი და სამი კანდიდატი: სარქის გრიჭურთანცი 23
თ. 6 შ.; ნოდარ ნადირაშვილი 23 თ. 7 შ. (ძველი ხმოსა-
ნია) და ალექსანდრე ზურიევი 23 თ. 7 შ. (კანდიდატთ ნამ-
ყოფი). ამ არჩევნებში მარტო ეს ორი ქართველი მოჰყვა,
წინ 4 იყო. კანდიდატებათ აირჩიეს: 1) გეურქ სარქისოვი
20 თ. 9 შ.; 2) სტეფან ვართანოვი 16 თ. 13 შ.; 3) სა-
ქულ ამირაღოვი 16 თ. 13 შ. ამით დასრულდა არჩევნები.

ამათშია სამი ძველი, დანარჩენი სულ ახლები.
შორის მომეტებული ნაწილი ემაწვილ-კაცობაა, დიდ ბაქი-
ბუქშიაც არიან, მათ მოქმედებას მხოლოთ მომავალი გვი-
ჩვენებს. აი ორი ქართველიც იქნა არჩეული ქიზიყის დედა-
ქალაქში და ესენიც ისეთი, რომ ოთხი წლის განმავლობაში
ოთხჯერ არ გაივლიან სამმართველოსაკენ. სად არიან ქართვე-
ლები? ამ წყნარსა და მშვიდობიან დროში შახ აბაზმა ხომ
არ გადაასახლა თეირანის პროვინციებში? არა, ბატონებო,
ღმერთმა დაგვიფაროს გადასახლებისაგან, აქა ვართ, აქა, მარა
ისევ გადასახლება ჯობია ამისთანა ყოფნას. ჩვენ გვეგონა
პირველ ამორჩევაში რომ ოთხი ქართველი მოჰყვა, ეს ოთხი
კაცი იგემებს ამ ახალ ხილს, ეს ოთხი ოთხს კიდევ სხვას
მიიზიდავს მეორე არჩევნებში და ოთხი რვათ განდება-თქო.
მარა არა თუ იმათ სხვა მიიზიდეს და მხარში ამოიყენეს,
არამედ ის ოთხიც გააძევეს იქ მყოფ ბობოლებმა. ქალაქის
თავათ ყველა ემზადება, ყველა დიდ ფაცი-ფუტშია და ვნახოთ
ვის არჩევენ. ახლანდელ ქალაქის თავს მისი თანაშემწე
ეცილება და ვნახოთ რომელი გააგორებს 1000 მანეთიან
ლელოს! აქეთ ყველაფრის სიძვირეა, მარა სიძვირეც არის და
სიძვირეც. სიძვირე საარაკოა! საყენი შეშა ახლა აქ 30—
40 მანეთამდეა, და ირასაც ვერ შოულობენ. ფუთი ნახშირი
80 კ. პაწაწინა ვარია—20—30 კ.. სამი კვერცხი—5 კ. ყვე-
ლი გირვანქა 22 კ. ხორცს ვისაც როგორ სურს ისე
ჰყიდის, ჩვენთვის ნიხრი არც ყოფილა და არც იქნება.
მაგ. აპრილის ნიხრს თიბათვეში ნახავთ. ფქვილიც ძვირია,
ფუთი 1 მ. 20 კ.—1 მ. 50 კ. ლენომაც ძლიერ აიწია.
საპალნე ფასობს 130 მ.—150-მდე და მეტიც. ხოლო ხალ-
ხი მაინც მხიარულობს და სვამს.

ქართველი.

ბოლიტიკური მიმოხილვა

უკანასკნელ ორ კვირაში შესანიშნავი არა მომხდარა
რა საგარეო პოლიტიკაში. ჩინეთის მდგომარეობა ისე
აწეწილ-დაწეწილია, როგორც წინეთ იყო. ჩინეთის მეფე
ისევ წერილების წერაშია ევროპის სხვა-და-სხვა სელ-
მწიფეებთან, ხოლო ევროპის დესპანები ჩინე-
თში ბრძანებას ბრძანებაზე სტეპენ ამა თუ იმ გუბერ-
ნატორის თუ სხვა წარჩინებულის სიკვდილით დასასჯე-
ლათ. მაგრამ არც ერთ ამ ქადაგდეს ჯერ ნაყოფი არ
გამოუღია. „დიდი მუშტის“ მოძრაობა მინელ-
და, ხოლო მისი შეთავრები ისევ დაუსჯელათ არიან.
მერე ვინ არის დასასჯელი? ვინ და ჩინეთის თითქმის
ვევლა წარჩინებული პირი, დაწეებული ტანტის შემკვიდ-
რის მამიდან, პრინცი ტუანით, და გათავებული გუბერნა-
ტორებით. და აი, ეველა ამათ თავი უნდა მოჰკვეთონ
იმიტომ, რომ მათ ქვეყნის სამსახური ევროპელებისაგან
დაშორებით სურდათ და არა მათთან დაახლოებით. თუ
კი ეს სისრულეში იქმნა მოყვანილი, უნაყოფოთ არ
ჩაივლის და ჩინეთის ხალხი შეეცდება ოდესმე მაინც
სამაგიეროს გადახდას. და ამას კიდევაც შეიძლება სანამ-


დის ჩინეთის მთავრობა სუსტი იქნება და ქვეყანაში მკაცრი წეს-რიგი არ დამკვიდრდება. და ეს როდის იქნება — ვინ იცის. მანამდის კი ევროპა იძულებული იქნება ჩინეთში მუდამ ჯარები იყოლიოს და ეოველივე შემთხვევისათვის მზათ იყოს. რაც შეეხება ინგლის-ტრანსკავკასიის ომს — ეს ომი ფერმაღურათ დასრულდა. ინგლისმა გამოაცხადა, ზრდივე რესპუბლიკა დაფიქსირი და შემოვიერთეო, მაგრამ ფაქტურათ ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ბურებთა მეტოძელ რაზმებს იარაღი არ დაუერთათ და ინგლისის ჯარებს აქა-იქ თავს ესხმიან და ზარაღს აყენებენ. ამ საქმეში სხელი გაითქვა ბურების შეთაურმა დევეტმა, რომელიც საცარი სისწრაფით გადადის ერთი კუთხიდან მეორეში და ინგლისელთ აწუხებს. რასაკვირველია, ქადაკები და მთავარი ზუნქტები ინგლისელთა ხელშია, ბურების რაზმებია მხოლოთ მთებში და მივარდნილ ადგილებში ბინადრობენ და იქიდან ეცემიან შტრებს. ეს არ არის ომი სათარეშო, უსისტეო და უზღანო, მაგრამ ძალიან გამწვავებული და თავდადებული. ცენტრალური მთავრობა აღარ არის. კრიუგერი ევროპისკენ წამოვიდა. სამინისტრო, ხაზინა და სხ. გაუქმდა — ერთი სიტყვით ბურების მართვა-გამგეობის მექანიზმი მოიშალა და ასეთ მდგომარეობაში სისტემატიური ომი შეუძლებელია. მაგრამ ევროპის სხელიწიფოები ამ ქვეყნების დაზურბას ოფიციალურათ არ იცნობენ მანამდის, სანამდის იქ რაიმე ომიანობა წარმოებს და ამ მხრით ბურების თავგანწირული ბრძოლა დიდათ სსსარკებოლა. — ამ დეებში გამაქვეუნდა მიწერ-მოწერა კრიუგერსა და ჭოლანდიის მთავრობას მორის, საიდანაც ჩანს რომ ეს უკანასკნელი აფრთხილებდა კრიუგერს ინგლისის წინადადებს დათანხმდი, თვარა ოში არავინ არ მოგკმარება. კრიუგერი უზასუხებს, არ შეიძლება ინგლისელს, ბრიტანიის ქვეშევრდომს, ხმა მივკეთ ტრანსკავკასიის რესპუბლიკაში, ეს ნიშნავს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გაუქმებას, ხოლო ოში ჩვენ არავისი იმედი არ გვაქვს, გარდა ჩვენივე მკლავისა და დმურთისა.

ჩვენი სახიობა.

ზუთშაბათს, 26 ოქტომბერს, თფილისის ქართულ თეატრში წარმოადგინეს 3 მოქმ. დრამა „უბედური“, ნათარგმნი ისპანიურიდან და ვოდევილი „თავგის ბრალია“. „უბედურისთანა“ ახირებული პიესა ჩემს დღეში არ მინახავს და ეს ალბათ იმიტომ რომ თვითონ ისპანელებიც ახირებული ხალხი უნდა იყვენ. ისეთი ამბები, რისაც სხვაგან

დაფარვას და გალამაზების მეცადინეობენ, საქმიანული ხალხში, ყოვლად მოურიდებლათ და შეუშფოფებლათ წარმოებს. და ეს არც კი უკვირთ „უბედურის“ ისპანიელთ. მდიდარი, ღარიბი, მსაჯული, ქალი, კაცი, — ყველა ერთი და იმავე თვისებით ყოფილან აღტურვილნი სახელდობრ, რამენაირათ ჩაწიხლონ სუსტი და მის ნანგრევზე ააგონ თავისი სიძლიერე; მართალია ეს ყველგან ასეა, მაგრამ ისპანიაში ეს მოურიდებლათ, შეუშფოფებლათ ცოდნიათ. ახლა გათხოვება — ცოლის შერთვას არ იკითხავთ? ქალს უყვარს იმიტომ რომ ფული აქვს მის სატრფოს, და ეს სიყვარული ძლიერდება იმდენათ, რამდენათაც ძლიერდება სატრფოს სიმდიდრე. ეს შეიძლება სხვაგანაც ასე იყოს, მაგრამ საქმე იმაშია რომ ისპანიელი, „სიყვარულით დამოვრალი“ ქალი ამას არ მალავს და სცენაზე პირდაპირ ამბობს დიდის სიცილით, მე ფულისთვის მიყვარს და მსურს იმას მივთხოვდეო, და ასე გაშინჯეთ ამასვე პირდაპირ ეუბნება თავის საქმროს და ამ უკანასკნელს ეს არც კი უკვირს. ისინი ჩვეულებრივთ განაგრძობენ ერთმანერთის „სიყვარულს“... არა, ახირებული ხალხი ბრძანებულან ეს დონკიხოტის თანამემამულენი. ასე რომ როცა „უბედურს“ უყურებთ, თქვენ განცვიფრებას საზღვარი არ აქვს, ქცევა, სიტყვა-პასუხი, გრძობის გამოცხადება — ყველაფერი გაციფრებსთ ღე გაცინებსთ, თუმცა უნდა გატირებდეს კი. ერთმა ჩემს ახლოს მჯდომ მანდილოსანმა უცებ წამოიძახა: აი თანამედროვე პიესაო! და ეს უთუოთ იმიტომ რომ მთელი მოძრაობის ჩარხი ფულია და სხვა არაფერი. მაგრამ თანამედროვეობა მდგომარეობს არა მარტო ფულის გაბატონებაში, არამედ იმ გზების და საღსრების გამონახვაში, რის საშუალებით ფული ბატონდება. თვარა, აქაო და ფული მინდაო, შარაზე კაცო გაცარცეო — ეს ვერაფერი თანამედროვეობაა.

ერთი სიტყვით, „უბედური“ შეიძლება ისპანიური პიესა იყოს, მაგრამ თანამედროვე კი ვერა. პიესაში ორი ტიპია საყურადღებო, ორივე ერთი ოჯახის შვილნი (ბიძაშვილები), მაგრამ ორივე დიდათ განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ერთია „შფოთი, ლოთი, გულწრფელი და დარდიმანდი“, როგორც თვითონვე ამბობს, ხოლო მეორეა ღვთის მოყვარე, წყნარი, მორიდებული და სულის ცხოვნების მაძიებელი. ორივე ახალ-გაზდაა, ორივე უცოლოა, ორივეს ცოლის შერთვა სურს. პირველს ქვია მარცელა (კ. მესხი), ხოლო მეორეს სანჩო (შათირიშვილი). მარცელა მხედარია, ვულადია, სხვისი ბედ-იღბალი მას ყოველთვის აინტერესებს, სუსტის დამხმარე და მფარველია, სულ ერთია ეს ვინც და სადაც იქნება. სამშობლო



განსაცდელში ჩავარდა, კუბაზე ომია, მარცვლა მადის იქ ისპანიისათვის სისხლის დასანთხევათ. ქუჩაზე მათხოვარი შეურაცკვეს, პოლიციელებმა ერთი ორი უთაქეს, მარცვლა იწიშვლებს ხმაღს, ერევა პოლიციელს და შეურაცკყოფილთ იფარავს; კაცმა ქალი შეაცდინა და მერე შერთვაზე უარს ეუბნება, მარცვლა მფარველობს ამ ქალსაც და მომატყუებელს ძალას ატანს შეერთეო. ერთი სიტყვით, მარცვლა ნამდვილი რაინდია, რაინდული გრძობით აღსავსე; ის არის გულალაღი, პირდაპირი, და ამასთანავე „ფულის-მტერა“. აქვს ფული — ხარჯავს, არა აქვს და სესხულობს, ურიულ სარგებელს იხდის და მაინც ხარჯავს და ხარჯავს. მეორე მხრით, სულ სხვაა „ღვთის კაცი“ სანჩო. ამ საშუალო საუკუნის მლოცავში ჩინებულათ დაბინავებულა ყოველნაირი თანამედროვე სისაძაგლე. მისი ერთათ-ერთი მიზანია ფულის შეძენა, გამდიდრება. ასესხებს მარცვლას თვეში 15 პროცენტათ, ასესხებს თავის ბიძას, პერფექტოს, (გედევანოვი), ასესხებს ყველას ვისაც კი ნახავს გაჭირვებულს და თან ყველას „მუხრუჭს“ უჭერს. ამ ცარცვაში მას ხელს უწყობს მეორე ღვთის მოყვარე მისი მამიდა, ლუკრეცია (ნ. გაბუნია-ცაგარლისა). ეს კიდევ ცოტაა, სანჩო ჩადის ათასნაირ გარყვნილებას, მან მოატყუა ახალგაზრდა ქალი პიეტრა (კარგარეთლისა), მერე პატარა შვილით გაავლო. პიეტრა თავისი პაწია ქალით ქუჩა-ქუჩა მათხოვრობას შეუდგა. და აი ასეთ კაცს, ასეთ იეზუიტს, ყველა დიდი მოწიწებით ეპყრობა, ყველა პატივს სცემს და ქალებიც მას ეტრფიან, ხოლო მარცვლა კი ყველას სძულს, ყველა დაბალ-ლობით არის გადაქცეული. სანჩოს ჰყავს სადღაც გადაკარგული მოხუცი ბიძა, რომელმაც სიცოცხლეში უანდერძა მას მთელი თავისი ქონება — სამი მილიონი ფული. და აი, პერფექტომ განიზრახა ამ მდიდარ კაცს, ამ მის მევახშეს მიათხოვოს თავისი ქალი, ანჟელიკა (გარელისა). ანჟელიკასაც მოსწონს ის, თუმცა წინეთ მოსწონდა მარცვლა. მარცვლა არცხვენს ანჟელიკას სანჩოს თანადასწრებით, მაგრამ ის ამბობს, რომ მე სანჩო მიყვარს, იმიტომ რომ ის სამი მილიონის მემკვიდრეაო. მერე გამოჩნდება რომ ამ სამ მილიონის პატრონს სიკვდილის წინ გაუქმებია თავისი ანდერძი და მთელი ეს ქონება უანდერძებია ერთი მათხოვარი ქალის შვილისათვის, რომელნიც იმას შეუფარებია და მათ ხელში გადაცვლილა. ამ მათხოვარმა ეს არ იცის, ის სადღაც წასულა და მთავრობა დაედებს, რომ მას, თანხმათ ანდერძისა, ქონება ჩააბაროს. ამას იგებს მარცვლა და ატყობინებს სანჩოს, სამი მილიონი ხელადან

გაგბარვია, ის ვიღაც სხვისთვის უანდერძებიაო. სანჩო სასოწარკვეთილებას ეძლევა. ანჟელიკაც ექვეში შედის, რომელი ჯობს არ იცის, სანჩო თუ მარცვლა. ამ დროს ოჯახში შემოვა ერთი მათხოვარი ქალი სათხოვრათ, მას ახლავს რვა წლის ქალი-შვილი და შესჩივის სანჩოს მამიდას თავის გაჭირებას; ის გამოტყუდება რომ მისი მომტყუებელი იყო ვიღაც მარცვლა, რომელიც შემდეგ კუბის ომში წავიდა და არ იცის მოკლეს თუ ცოცხალია. ამ ლაპარაკის დროს ოთახში შემოვა სანჩო და პატარა ქალი-შვილი მივარდება, მამა, მამაო. სანჩო ხედავს თავის წინ პიეტრას თავის შვილით და მოსამსახურეს უბრძანებს გაიყვანეთ გარეთო. ის უარობს, მე მაგათ სრულიად არ ვიცნობო. ამ დროს შემოდის მარცვლა და ცნობს პიეტრას, რომელიც რამოდენიმე დღის წინეთ პოლიციელების ხელიდან ქუჩაზე დაიხსნა. პიეტრაც მივარდება მას და თხოვს მფარველობას. და აი, ახლა მედენდება რომ სანჩოს ის ქალი მარცვლას სახელით მოუტყუებია. მეორე მხრით მარცვლა იგებს, რომ სამი მილიონის მემკვიდრე სწორეთ პიეტრას ქალი-შვილი ყოფილა და ეუბნება სანჩოს აი ახლა მაინც შეერთე პიეტრა და მისი შვილიც იშვილეო. სანჩო ამის გაგონებაზე უცებ იცვლება და დიდის სიხარულით თანხმდება, მაგრამ ანჟელიკასთან ამას გადათქვამს და ამბობს, მე შვილს ვიშვილებ, შენ შეგიერთავ, ხოლო პიეტრა, სადაც უნდა იქ წავიდესო. პიეტრას წაართვეს შვილი და სანჩოს სახლში ზრდიან, დედა დააჭერინეს და საავათმყოფოში გაგზავნეს. დააჭერინეს აგრეთვე მარცვლა და სატუსალოში ამოაყოფიეს თავი. ამ დროს ანდერძის საბუთები ხელში უვარდება მსაჯულს (კანდელაკი), რომელსაც აქამდის სანჩოს მხარე ეჭირა და ხედავს რომ სამი მილიონის მემკვიდრე ქალის მამათ სწერიან, მარცვლა და არა სანჩო. ის მაშინვე ათავისუფლებს მარცვლას და აგებინებს ისარგებლოს ამ საბუთით. მარცვლა ხედავს რა პიეტრას გაჭირებას, მიდის სანჩოსას, სადაც პიეტრასაც შეხვდება და სანჩოს უცხადებს, შენ კი არ ხარ ქალის მამა, არამედ მე ვარ. ხომ მე შეგაცდინე შენ? — ჰკითხავს პიეტრას და ესეც იგებს რაშიაც არის საქმე, კვითინით უვარდება ფეხებში და თანხმობის ნიშნათ თავს აქნევს. მსაჯულიც მარცვლას აბარებს პიეტრას და მის ქალს და მარცვლა ამბობს: მე ამ ქალს გავუწევ ნამდვილ ძმობას, ხოლო ამ პატარა შენ შვილს (ეუბნება სანჩოს) მამობასო. ამით თავდება პიესა.


როგორც ხედავთ, პიესა საინტერესოა, მაგრამ როგორც ზევით ვთქვით, მთელ ამ მოქმედებას რაღაც ახირებული ფერი ადევს. თამაშით კი



R

მოსე წინასწარმეტყველი.

კარგათ ითამაშეს. განსაკუთრებით კარგი იყვნენ კ. მესხი და შათირიშვილი. ორივემ ნამდვილათ დაგვიხატეს თავისი ტიპები. — არა უშვებდა-რა სხვა არტისტებსაც, გარდა კანდელაკისა, რომელიც სუსტობდა. ვოდვეილი ქ. საფაროვისამ და ვ. აბა. შიძემ ძალიან მხიარულათ ჩაატარეს.



წერილი ბათუმშიდან

ექტომბრის 16 მონივ სხდომაზე ბათუმის საბჭომ მოისმინა 69 ვაჭრის მიერ სეღმონწერილი სანჩივარი. ამ სანჩივრით ვაჭრები კვირა-უქმე დღეებში მალაზიების დაკეტვის არსებული წესის შეცვლას თხოულობენ. მოგეხსენებათ, რომ ბათუმის ქალაქის საბჭომ ურადღებო მიაქცია კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობას და ერთ თავის წინანდელ სხდომაზე დაადგინა, რომ უქმე-დღეებში მალაზიები დაკეტილიყო და მით ნაქრები შესვენების საშუალება დირსებოდათ. ეს წინანდელი გადაწყვეტილება საბჭოსი, რომლის ძალით უქმე დღეებში მალაზიები სულ არ უნდა გადებულიყო, გუბერნატორმა არ დაამტკიცა, იმ მიზეზით, რომ საბჭოს არ ჰქონებია ნება უქმე დღეებში მთელი დღით ვაჭრობის აკრძალვისა. საბჭოს უფლებებში უოფილა სავაჭრო დღის განსაზღვრა. ამის გამო შემდეგ კრებაზე საბჭომ ამ გვარათ განსაზღვრა უქმე დღეებში ვაჭრობის დრო: კვირა-უქმე დღეებში გაიღოს მალაზიები დღის 12 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. აღდგომის ზირველ სამ დღეს და შობისა და ახალწლის ზირველ ორ დღეს კი მალაზიები სულ არ უნდა გაიღოს. ეს გადაწყვეტილება საბჭოსი დაამტკიცა გუბერნატორმა. და აი ეს გადაწყვეტილება ვაჭრებს არ მოსწონებიათ და მის წინააღმდეგ საბჭოს სანჩივარი მიართვეს. საურადღებოთ მიგვაჩნია ამ სანჩივრის შინაარსის მოყვანა, რომელიდანაც ნათლათ დავინახავთ, თუ ბ. ბ. ვაჭრები როგორ ასაბუთებდენ თავის სანჩივრს და თუ როგორ ტყივებიათ მათ გული თავის „უნტროსი ძმებისათვის“ — ნაქრებისთვის. „უკვლასათვის ცხადია, რომ შესვენება აუცილებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა აღმინისაო, — ასე იწყება ვაჭრების სანჩივარი, — მის შესვენება შესვენებისაგან განსხვავდება. ზედმეტი შესვენება აჩვევს აღმინის ღოთობას, აჩვევს ათასგვარს ბიწიერებას, და ადებს მას განსაცდელში. აი სწორეთ ამ გვარ განსაცდელშია დღეს ჩაყენებული ჩვენი უნტროსი ძმები, ჩვენი ნაქრები. ბათუმის საბჭომ მათ იმდენი თავისუფლება მიანიჭა, რომ აღმინის არის იგი ძმები დაღუპვის გზას დაადგეს და ჩვენ, უფროსი ძმები, მოვალენი ვართ დავეხმაროთ მათ და ვისინათ გაჭირვებისაგან. (ე. ი. შესვენებისაგან). თვით ზნეობასაც რომ არ მივაქციოთ ურადღება, „ძმები“ მატერიალურათაც გვეჩა-

გრებიან უქმე დღეებში, საბჭოს მიერ ბოძებული თავისუფლების გამო, ივინი ეტლებით დასვირბობენ და ამ გვარათ ჯამაგირს ფლანგავენ. შეიძლება საბჭომ დასავლეთ ევროპის მაგალითს მიბაძა და ამ მიბაძვით შემოიღო აქ დამღუბველი თავისუფლება კვირა-უქმე დღეებში. მანა ხომ უკვლასათვის ცხადია ის, რომ დასავლეთ ევროპის სოციალური მდგომარეობა და მდგომარეობა ჩვენი ბათუმისა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამას გარდა, არც ჩვენ ვართ კარგს დღეში. უქმეები ბევრია და უქმეებში მალაზიების დაკეტა ჩვენ ზარალს მოგვტეოს. იმედია, უკვლას ამას უურადღებოს მიაქცევს საბჭო და მიიღებს ამ ჩვენ ზრთაქტს უქმე დღეებში მალაზიების დაკეტვისას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: გაიღოს მალაზიები კვირა დღეებში 11 საათიდან 1 საათამდე, სხვა უქმე დღეებში კი წიწვის გამოსვლის შემდეგ სულ კანონის მიერ დანიშნულს დრომდე.“ ასეთია შინაარსი ამ საგულისხმო სანჩივრისა. ჩანს, რომ ვაჭრებს მათი „უნტროსი ძმები“ შესრავლებიათ, ცეცხლი მდებიათ მათ გულზე, რომ მონიჭებული შესვენებით მათი „ძმები“ (რასაკვირველია, სიტყვა „ძმები“, სანჩივარში ბჭვალეებში არ იქნებოდა, ბჭვალეებში მხოლოდ ჩვენ ვსვამთ) იღუპებიან და — ძმა ძმისთვის შავ დღისთვისაო — ხომ გსმენიათ, და ვაჭრებმა აკი მიართვეს საბჭოს „ძმების შავი დღიდან“ გამომსხველი სანჩივარი. ასე გაშინჯეთ, თვით ნაქრები არავითარ სანჩივარს არ აცხადებენ ამ „შავ დღეზე“ და მათ მაგიერ მათი „უფროსი ძმები“ გამოსულან უნტროსი ძმების დასახსნელათ, საბჭოს მიერ. საბჭომ 14 ხმით წინააღმდეგ 12 ხმის უარვეუ ვაჭრების თხოვნა.

№

ქალის ზრძოლა უფლებებისათვის

(ქართული თეატრი ქუთაისში)

„მედია“ — „ბრკვალები“ — „ნორა“ — „მამულ-დელული“.

რვა ექტომბერს ჩვენმა დასმა წარმოადგინა რუსულიდან გადმოთარგმნილი დრამა „მედია“. ზიეს ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, განსაკუთრებით ქ-ნ ჩხეიძის თამაშობის შემწეობით. ნიჭიერმა მისანიბმა სკერთა აღტაცება გამოიწვია; თავიდან ბოლომდის შესაფერო ტონი დაიჭინა და დაგვიხატა რკინის ხსიანის ქალი, რომელმაც ზირველ გამოსვლისათხავე გვარგმნობინა — ვაი იმას, ვინც მე წინ გადამდობებაო. ამბობენ, ზიესს გაიმეორებენ სეზონში.

22 ექტომბერს ითამაშეს ერვიეს ცნობილი დრამა „ბრკვალები“ (*). ამ ზიესსაც დიდი ინტერესით შეხვდა

*) ეს მეშვიდე წარმოდგენაა ამ სეზონში.

საზოგადოება. უმთავრეს რაღაცას ასრულებდნენ (იბნეს, ფერგანს და ლავრანის) ნ. ჩხეიძე, ვ. მესხიშვილი და ლ. ჩარკვიანი. ქ ჩხეიძეს ეტეობოდა, მთლათ სავსებით ვერ შეუთვისებია ჯერ იბნეს ხასიათი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი ხასიათების თამაში ახლავს მისთვის. ბ. მესხიშვილის სიტყვებში მკაცრათ გამოიხატებოდა მამაკაცების დაბრმავებული ეგოისტობა, მათი უსამართლო ბატონობა ცოლებზე და თქვენ წინ ვინმე ფერგანი კი არ იდგა, არამედ მთელი კაცობრიობა თავის წინაშე და აწმუღში. ბ. ჩარკვიანზე უნდა შევნიშნოთ საზოგადოება, რომ მას ხშირათ ემხნევა გრძობების გამხატვაში ერთფერობა და ერთგვარობა.

ჩვენ დასს განზრახული აქვს თამაში ამ სეზონში იბნის „ნორა“ და ზუღერძის „მამულ-დედული“ შემოხსენებულ და ამ ზიესებს უკვლას საერთო შინაარსი აქვს—ქალების ბრძოლა მამაკაცებთან. ვისარგებლებთ ამით და ახლავთ ერთათ გავაცნობთ მკითხველებს ამ ზიესების გმირებს და მათ მისწრაფებებს.

მედეამ ზირველსავე ნახვავე შეიუყვარა აზონი და შეიუყვარა ძლიერი სიუყვარულით, როგორც შეჭფერის მის ტიტანიურ ბუნებას. აზონი გამოუღდა მის გულში, დაიმჩნა ის, დაავიწყა მას მამული, მამა, ნათესავები, მისი ღმერთები. ეველსაფერი შეწირა მას მედეამ, „თითქმის იგი თვით ღმერთი იყო“.

მედეა გაჭეუვება აზონს ცოლათ უტყბოთში. თუ თავის ქვეყანაში (კოლხიდაში) ბევრს დაეხმარა აზონს, ბევრ გასაჭირს გადაარჩინა, არა მცირე სამსახური გაუწია მას საბერძნეთშიაც. იგი ტოლ-ამხანაგი, მეტობარი იყო ქმრის... აზონი იძულებულია წავიდეს დროებით თავის სამშობლო ქალაქიდან. გადის რამდენიმე წელიწადი. ის არ ბრუნდება. მედეა წავა მის საძებნელათ; ებრძვის ზღვის ტალღებს, ტირილ-გოდებით უხმობს თავის ქმარს, თავის შვილების მამას.

ასე უყვარს აზონი, ამდენი სამსახური გაუწევია მისთვის, ამდენს იტანჯა, და ნუ თუ აზონი დაივიწყებს მას? ამ ფიქრებით შოცხულ მედეას გამოგადებს ადელ-გებული ზღვა კორინთზე (თანა ჭყავს თავისი ორი შვილიც). აქ არის აზონიც, იგი დახლოვდება მედეას, ეტრფის მის გვირგვინს, შეუყვარება მეფის ქალი კრეუსა და დეეს თუ ხვალ კიდევ უნდა დაქორწილდეს. მედეა მას არ ახსოვს, ან რათ უნდა ახსოვდეს? ახლა სხვა ბედი უდამის მას... კიდევ ეზარება აზონს მედეას მოგონება, მიტომ რომ მედეა მეტათ ადამიანია, მეტათ თანასწორი ქმრისა. „არ შეჭფერის მამაკაცს ცოლი შეშვეთ ჭყავდეს თავის საქმეებში, ამბობს აზონი: ქალს არ უნდა ჭქონდეს ნება უთხრას ქმარს: მე დაგეხმარე ამ საქმეში. ცოლს მეგობრათ, ტოლათ რაკი მიიჩნევა, შვიდობით მამინ მუდროება, რჯანის წესი.“ აზონს უნდა ცოლი--ნაზი არსება, ბავში, ტკბილი ენით ქმართან მოაღერსე, მისი გამგონე, მორჩილი მჩან. სულ

სხვა მედეა: ის ამაყობს იმით, რომ ქმრის სიყვარული „არაფერი“ არ ჩამოგრჩენივარ აზონს, არ ჩამოგრჩები სიყვარულშიც“, ეუბნება მედეა გარს. ამაშია დრამა აზონის და მედეას ურთიერთობისა.

აზონი ცივათ შეხვდება მედეას და გადაწვევით ეტყვის: ჩვენი ერთათ ცნობრება შეუძლებელია. ამათ მედეას ცრემლები და მუქარა. მეფეს შეუყვარდება და მას თხოვს სამართალს, — დამიბრუნეთ ქმარი, ზატვი ეციო ჩემ სამსახურს—ღვაწლსა. „თავისუფალი არის ქმარი; იგი მართავს ერს, მოქალაქეა, კანონმდებლობს, რჯანში, გინდ მოედანზე სარბიელი ეველგან გაშლილი აქვს. ჩვეთვის ერთია სარბიელი. იგიო გული... ამასაც გვართმევთ და გვიბრძანებთ, გაგვეცავთ! რისთვის, რისთვის ასეთი დასჯა?!“ შეჩივლებს მედეა მეფეს, მაგრამ ტყუილათ. გადაწვევით: დღესვე უნდა განიდევნოს ის კორინთიდან და მარტოთ, შვილები კი აქ უნდა დარჩენ აზონთან. მედეა ივიწყებს ახლა თავის თავს, თავის შეურაცხოვას, როგორც ცოლის. ეველსაფერს დაუთმობ, ამბობს მწარეთ, წავალ, მხოლოთ შვილები გამტანეთ. „დამნაშავე ვარ... დამნაშავე ვარ წინაშე მამის, ძმის წინაშე და შობილ ქვეყნის; დამნაშავე ვარ, რომ მიუვარდა ასე უზომოთ, დამნაშავე ვარ, რომ გავეციო გადმხევეწილი კაცის ფიცსა. როგორ ვიფიქრებდი, სხელს, ნამუსს შემბდალავდა, შემდეგ ვით ქვემძრობს გამსრესავდა, სიცილ-ხარხარით შორს გამტავდება... დამნაშავე ვარ; დეე, მარტო ვიყო დამნაშავე ეველს საქმეში, ოდონდ შვილები დამიბრუნეთ“. როდესაც ხედავს, რომ სამართალს ვერ ეღიროება, აზონის და კრეუსას ქორწილის დამეს, მოწამლავს უკანასკნელს, ცეცხლს წაუვიდებს მეფის სასახლეს და კარბის შვილებიანათ. მას დაეღვენებიან უკან; ხედავს თავს ვერ დადწევს მტრებს, და რომ არ ჩაუყვარდეს მათ ხელში, შვილებსაც ხოცავს და თავსაც იკლავს.

მედეა იბრძვის და იბრძვის საშინლათ თავის უფლებებისათვის, როგორც ქალი — ადამიანი, როგორც ცოლი, როგორც დედა. მისი ბრძოლა ზოლოტოთა თანამედროვე ქალების ბრძოლისა.

„ბრჭყალების“ შინაარსი მარტივია. იბნე მათხოვს ფერგანს მამინ, როდესაც ის ჯერ კიდევ ბავში იყო, „არაფერი“, არა გაეგებოდა-რა, არ იცნობდა კარგათ თავის საქმის, არ შეეძლო მისი დაფასება, არავითარი გრძობა არ ჭქონდა მისდამი. შემდეგ ათი წლის განმავლობაში ბევრს ეცადა იბნე, შეეყვარებინა ის ზირი, რომელიც ბედმა ქმრათ არგუნა, ბევრს ებრძოლა თავის თავს, მზათ იყო ამოკვლიჯა გული, გონების ურჩი გული, მაგრამ ვერას გახდა...

იბნე ცოლ-ქმრებაში სიყვარულს ეძებდა, — მისთვის სიცოცხლე სხვა არა არის-რა, თუ არა სიყვარული; ეძებდა მეგობრებას, ისეთ კავშირს, რომლის აუცილებელი ზირობა — ურთიერთ შორის თანასწორობა, სდაც სიყვარული

მითხვას საუფარეო ზირის არა დამბნებს, არამედ მის გათანაწილებას, სიდაც ერთის ღირსება მიორეს ღირსებას, ერთის დამცირება—მეორეს დამცირება, სიდაც უმადლესი ბედნიერება ისაა, რომ გიყვარდეს ის ზირი, რომელსაც შენ უყვარხარ და მასთან შენში ადიარებდეს თავის სწორ არსებას.

ორივე უკბედა ქმარში ასეთ საუფარეო მეგობარს, რომელიც თუნდ სულ უბრალო უოფილიყო, ღარიბ-ღატაკი, მხოლოდ კი გული ჰქონდა, სევდის სიმწარე სტობოდა და სხვის მწუხარების თანგრძნობა შეძლებოდა; ვაჟა-ფშაველას ჩაუკვირდა მისთვის მკლავი და წაუყვანა თავის სწორათ, თავის მეუღლეთ.

ორივე მადლი, კეთილ-შობილური შეხედულობისა ადამიანის ცხოვრებაზე, და უნდოდა, რომ ასეთ ქმარს და მას შეძლებოდათ ადამიანის დანიშნულების ასრულება, რომელიც კვიბრძნებს: კეთილი სთესე და მით ბედნიერება მოიპოვო...

ფერგანი კი მეტათ უგულო, ზირუტეული, კგოის-ტური ადამიანი გამოდგა. მისი საქმე - სმა ჭამა, ძილი, კლუბში სიარული და ქალაქის თამაშია. არავითარი მისწრაფება მას არა აქვს, მას ვერაფერი გაიტაცებს, აადლეკებს. მას ვერც წარმოუდგენია, თუ ადამიანს რამე მისწრაფება ექნება, როდესაც სხელი აქვს და კარი, საჭმელი და სასმელი, ცოლს მონათ თვლის, სიყვარულს ბიჭ-ბუჭების მოგონილ სუფელათ. ცოლი იმდენათ აინტერესებს მას, რამდენათ იგი წესიერებას და მშვიდობიანობას იცავს ოჯახში და მის სქესურ მოთხვინბას აკმაყოფილებს.

ცოლ-ქმარს ერთმანეთი ეხარებათ, ძულთ კიდევ, ერთათ ყოფნა უძიძიებათ, გაურბიან ერთმანეთს. მაგრამ ეს არ აწუხებს ფერგანს. „ჩემთვის სულ ერთია, ამბობს: ვესიამოვნები, თუ ვძულვარ ჩემ ცოლს; თუ ნამეტანს გამიძვარებს სხელში ყოფნას, სხვაგან მოგძებნი სიამოვნებას“. ერთს მითხვას იგი ცოლისგან: მან არ უნდა შეარყიოს მისი ცხოვრების სიმშვიდე. ორინეს კი ვერ აუტანია ასეთი ცხოვრება; ის ვერ შერიგებია სხვა ქალებივით თავის დამცირებას. მას ვერ აშინებს ვერც საზოგადოებრივი აზრი, ვერც სარწმუნოება, ვერც კანონი. „ვისი შეუძლია ჩემდა უნებურათ, ჩემი გულის და სულის წინააღმდეგ განავს ჩემი ტანი?! უუბნება ორინე თავის დას: კაცი დასანახავათ მძულდეს, ავზნე მუწუკავით მეზიზღებოდეს და თანაც იძულებული ვიყო მის სისიამოვნო საგნათ გავხდე, როცა კი მოისურვებს!.. შერცხვნილი, თავს ღებ-დასხმული უნდა იყოს ასეთი ქალი!.. ან უნდა თავი მოიკლას, ან გაეყაროს ქმარს. უკანასკნელი წინადადებით მიუგზავნის დას ფერგანს, მაგრამ ამათ. „მოვიქნენ, მეტი აღარ შემიძლია! ეუბნება თვითონ ქმარს: რა ვქნა. არ მიყვარხარ და რა წყაღში გადავარდე!“ — „მამ შე ქმარი აღარ ვყოფილვარ? მამ

შე უფლება არა მქონია?“ ეკითხება ფერგანი. — ორინე: ჩვენ საერთო აღარ გვაქვს, ჩვენ შორის ცოლქმარის უკვე შექვდა და მისი განსლება შეუძლებელია“. ფერგანი: „უცხო ბრძანებები“ ჩემთვის? ძალიან კარგი. აღონდ ნუ დაივიწყებ, რომ კანონის ძალით, შე ცოტა რამ უფლება მაქვს შენზე და მით ისე ვისარგებებ, რომ... — ორინე: „შეიძლება კანონი სრულ უფლებას გაძლევეთ ჩემ მზითეფზე, ქონებაზე. მაგრამ ჩემს დღეში არ დავიჯერებ, რომ კანონმა სრულ საკუთრებათ, ურ მოჭრილ ვმთ გავიხადოთ თქვენივე სწორი ადამიანი!.. სიძულვილი საკმარის საბუთათ არის ადიარებული, რომ ცოლ ქმარი გაიყარენ“. ფერგანი: „ჯერ მაგრე განვითარებუდნი არ ყოფილან ჩვენი კანონმდებლები. რას იზამი“ სხვა გზას ვიპოვო, უუბნება ორინე ქმარს, გავიქტევიო. ფერგანი ზოლიციით ემუქრება. „უკვლავფერში მართალი ხარ, მაგრამ ჩემი სურვილია და შენც ჩემი სურვილისამებრ უნდა იქტეოდე. ხელში მუავხარ და არ გაგიშვებ!“ ამ სიტყვებით შეხვდება ფერგანი ცოლის სისწრაფეითილებას.

ორინე საუფარეო ლავერნიეს უახლოვდება და ამ დაახლოვებაში ჰხვდება ნუგეშს. დაახლოვების შედეგი შვილია, რენე. ორინე შვილის იმედით ცხოვრობს, თავი არ მოიკლა მიტომ, რომ რბლათ არ დაეტოვებინა რენე (ლავერნიე გარდაიცვალა კაი ხანია მწუხარებისაგან დაჭლე-ქებული). ბავში ათი წლისაა უკვე; ფერგანი მას თავის შვილათ თვლის, უნდა რენე ზანსიონში მისცეს და დედას მოაშოროს. ორინე არ ანებებს: ბავში სუსტია და უჩემოთ ვერსად გაძლებსო. „განსვას, ორინე? მოგონებს წარსულს ფერგანი: მამინ ქალის უფლება იყო, დღეს მამის უფლება იქნება... სიდაც მამა, იქ დედას არავითარი უფლება არა აქვს“. ორინე: დედა და შვილი! რა საჭიროა აქ უფლება და კანონები! ჩვენი უფლება ჩვენი სიყვარულია. ცხრა თვე ვატარე, ძუძუ ვაწოვე, უსულდებულს სული შთავებრე, ჩემი არსება მას გარდავეცი და თქვენ რაღაც უფლებებზე მეღანარაკებით?!“ ფერგანი: „ცხრა თვე კი არა ოც-დაცხრა თვე რომ გეტარებინა, კანონის ძალით მე ჩემ შვილს...“ — „კიდევ კანონი! გააწვევტინებს სიტყვას გამწარებული ორინე: მამ იცოდე, საბრალო, რენე შენი შვილი არ არის, შენ არა ხარ მისი მამა!“ ეს ამბავი თავზარს დასცემს ფერგანს; არ იცის, რა თქვას, რა მოიქმედოს ახლა. „შენი საუფარდის შვილი ჩემი შვილი უნდა იყოს?! ამბობს სისწრაფეითილი: ვთქვა რამე, თავს ღებ-დასხმენ, არა ვთქვა და ეს ნაბიჭვარი ჩემ სხელში უნდა იზრდებოდეს და ჩემ გვარს არცხვენდეს!“ — „რა გაეწეობა! კანონმდებლებს ავრე დაუდვიათ: ავი ვარ თუ კარგი ვარ, შე თქვენი ცოლი ვარ და ჩემი შვილი თქვენი შვილია!“ ეუბნება ორინე და იმავე ბრჭყვლებით მოუტერს ქმარს ხელს, რომლებითაც ამ უკანასკნელმა საუკუნოთ მოუწამლა მას სი-



ცოცხლე. -- ფერგანი: „მომშრდიო! გავიყარნოთ! წა გინდათ ჩემგან?!“ ირინე: „გვიანდაა! სადღა წავიდე? რისთვის, ვისთვის! ჩემი მამავალი—ჩემი შვილია! აქ ვარ და აქ ვიქნები ბოლომდე, სიკვდილამდე!...“

S—n.

(დასასრული იქნება)

ჰიგიენა.

(დასასრული)*

2—როგორ უნდა დავიცვათ თავი ყვავილისაგან.

წვენი ხალხის გაუნათლებლობა, ცრუ მორწმუნეობა და დაუდევრობა ზძანეთ, თორემ თუ კი ნემეცების ქვეყანაში სრულებით მოისპო ყვავილის ხსენება, აქამდე რატომ ჩვენში კი არ უნდა მოსპობილიყო? პირ იქია, ჩვენში ჯერ დღესაც დადის ყვავილი სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და შეუბრალებლათ ჟღერს დიდს და პატარას, თითქო მოვალენი ვიყოთ ჩვენი თავი და ჩვენი შვილები ზვართ გავხადოთ და ყვავილს მსხვერპლათ შეეწიროთ. გამოანგარიშებულია, რომ მთელ რუსეთში ყოველ წლივ ყვავილისაგან ოცი ათასი სული კვდება, ხოლო რამდენი სული ბრმავდება და უსინათლოთ რჩება მთელ თავის სიცოცხლეში, ამას ხომ ვინ მოთვლის. ამდენი უბედურება კი იმიტომ ხდება, რომ ყვავილს არ იცრიან და არც ცდილობენ წინათვე დაიცვან თავი საშინელი ჭირისაგან: დიახ, უთვალავი ხალხი ხდება უთვალავ უმეცრების მსხვერპლათ.

მართალია, ზოგჯერ ისეც მოხდება რომ ვისაც პატარაობითვე ყვავილი აცრილი აქვს, იმასაც შეხვდება ხოლმე როდისმე ხელ ახლათ ყვავილი, მეტადრე იმას, ვინც მხოლოთ ერთხელ ყოფილა აცრილი, მაგრამ დიდი განსხვავებაა აცრილს შეხვდება ყვავილი თუ აუცრელს. აცრილები ყოველთვის ადვილათ მოიხდიან ხოლმე ყვავილს. ძლიერ იშვიათათ მოხდება, რომ ის, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა აცრილი, როდისმე ახლათ შეყრილ ყვავილისაგან ან მოკვდეს ან დაბრმავდეს.

აი კიდევ ამიტომაც საჭირო ყოველ ბავშს უეჭველათ აუცრათ ყვავილი, რაკი ბავში ოთხი ან ხუთი თვისა გახდება. ხოლო ვისაც უნდა სრულებით უშიშრათ იყოს, როცა ბავში რვა წლისა ან ათი წლისა შესრულდება, მაშინ ძლიერ კარგია რომ ხელმეორეთ კიდევ აუცრათ. როდესაც რომელიმე სოფელში ყვავილი გაჩნდება და ხალხი

ზედი ზედ ავათ ხდება, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა ყველას, განურჩევლათ ასაკისა, აეცრას ყვავილი დიდსაც და პატარასაც. უკეთუ ამ გვართ ბავშვებსაც და ახალგაზდებსაც და აგრეთვე მოახუცებულებსაც ყველას აუცრიან ყვავილს, მაშინ იმ სოფელში მალე მოისპობა ეს საშინელი ჭირი. ნეტა ან კი რას ვკარგავთ აცრით? სარგებლობის მეტი რა მოაქვს ჩვენთვის? არასოდეს არ ყოფილა მაგალითი, რომ ყვავილის აცრისაგან ვისმე რამე ვნება და ზარალი მისცემოდეს, მაშასადამე ხომ არაფერს ვკარგავთ და სარგებლობა კი, აშკარაა, დიდი მოაქვს ყვავილის აცრას.

ვისაც უნდა თვითონ ყვავილი აიცრას, ან ბავშვებს აუცრას, იმან უნდა მიმართოს დოქტორს, ან ფერშალს, ან არა და ყვავილის ამცრელს. მთავრობა ყოველ წლივ დიდძალ ფულს ხარჯავს ყვავილის ჩირქის მოსამზადებლათ. დოქტორებიც გზავნიან ფერშლებს და ყვავილის ამცრელებს სოფლებში ახალი ჩირქით და ძროხის ყვავილს უცრიან ყველას, ბავშვებსაც და დიდრონებსაც.

მაშასადამე უნდა კარგათ ჩაუფიქრდეთ საქმის ვითარებას, ნუ ვიქნებით დაუდევრები და ცრუ მორწმუნენი. დაუყოვნებლივ აუცერით ყვავილი თქვენ შვილებს რაკი ოთხი ან ხუთი თვისა შეიქნებიან და აგრეთვე მეორეთაც აუცერით, როდესაც წამოიზრდებიან და რვა ან ათი წლის გახდებიან. აგრეთვე აიცერით ყვავილი თითონ თქვენ, დიდებმაც, ყველამ, მეტადრე მაშინ, როდესაც თქვენ ახლო სოფლებში, ან თითონ თქვენ სოფელში ყვავილი გაჩნდება. ამით თქვენ დაიხსნით თქვენ თავს და თქვენ შვილებს სიკვდილისაგან. სხვებსაც გადაარჩინთ დასახიჩრებისა და მახინჯობისაგან. როცა თქვენი შვილები წამოიზრდებიან, გარწმუნებთ დიდათ დაგიმადლიან, რომ ისინი საშინელ სენისაგან დაიცვეით, დაიფარეთ და თქვენს ზრუნვას და შრომას ღირსეულათ დააფასებენ.

რა დროს ჯობია აცრას ბავშს ყვავილი და როგორი მოვლა უნდა აცრილს?

ბავშს უნდა აეცრას ყვავილი როცა ოთხი ან ხუთი თვის გახდება. თუ ბავში სუსტია, ან რითიმე ავადყოფობს, ამისთანა ბავშს ჯობს არ აუცრათ, დაცადეთ ჯანი გაუმაგრდეს ან და მორჩეს ავადყოფობისაგან, ხოლო როდესაც სოფელში ყვავილი გაჩნდება მაშინ კი მოცდის დრო აღარ არის. მაშინ თუნდ ოთხი თვისაც არ იყოს, ბავშს უეჭველათ უნდა აეცრას ყვავილი. საკმაოა ბავში ოთხი ან ხუთი კვირისა იყოს, ამისთანა პატარასთვისაც კი აც-

*) იხ „კვალი“ № 43.

რა საშიშრო არ არის. ავანტიურა ბავში კი უქველათ ჯერ დოქტორს უნდა გააშინჯოთ. დოქტორი გამოიკვლევს, გაიგებს რითიკ არის ბავში ავანტი და მერე გეტყვით, რომელ ბავშს შეიძლება აცტრას და რომელს არა. - ბევრია იმისთანა ავანტიურა, რომ აცტრა სრულებითაც არაფერს არ უშლის.

ჩვეულებათ არის გადაქცეული, რომ ყვავილს აუტრიან ხოლმე ან გაზაფხულზე და ან შემოდგომაზე, მაგრამ როცა ახლო-მახლო სოფლებში ყვავილი გაჩნდება, მაშინ არ უნდა მიხედოთ დროს, უნდა საჩქაროთ აუტრათ ყვავილი გინდ ზამთარი იყოს გინდ ზაფხული. ბევრი დედა, რომ შიშობს -- „ზამთარში ბავშვისთვის ყვავილს ვერ ავაცრევივინებ, ვაი თუ აცრილი შეიქცეოს, გაცივდესო“. ამ გვარი შიში სრულებით უსაფუძვლოა, აცრილი ბავში რასაკვირველია უნდა არიდოთ გაცივებას, მაგრამ ის კი ტყუილი ფიქრია რომ ყვავილით აცრილი უფრო ადვილათ ცივდებადეს, ვიდრე სხვა ავანტიურა. ნათქვამია: „სიფრთხილეს თავი არ ტკივაო“, ამიტომაც საჭიროა აცრილი ბავში ზამთარში, სიცივეში გარეთ არ გამოიყვანოთ ვიდრე ორმა კვირამ არ გაიაროს აცტრას შემდეგ. თფილ დარბებში კი ყოველ დღე შეიძლება აცრილი ბავშვის გარეთ ტარება.

აცტრის წინეთ ბავში კარგათ უნდა აბანოთ და რბილი, უთახახო სუფთა პერანგი ჩააცვათ განიერ სახელოებიანი. აცტრას შემდეგ მკლავს შეხვევა სრულებით არ უნდა. ბანაობა აცრილი ბავშვისა მეოთხე დღემდე შეიძლება, ხოლო მეოთხე დღიდან, ე. ი. როდესაც გამოაჩნდება ზედი-ზედ ყვავილი, ბავშვის ბანება აღარ შეიძლება ვიდრე მეთოთხმეტე დღემდე, როდესაც ყვავილი სრულებით მიუბრუნდება და ყვავილის მუწუკები სრულებით შეახმება. ამ ორი კვირის განმავლობაში ბავშს მხოლოდ პირის ბანება უნდა და გამობანვა, აგრეთვე პერანგის და ჩურების მალმალე გამოცვლა. აცრილი ბავშვის ბანება იმიტომ არ ვარგა, რომ ბანვისა და შემშრალების დროს შეიძლება ყვავილი უცაბედათ მოიგლიჯოს ან დაიჩხაპნოს. ეს კი სასურველი არ არის, იმიტომ რომ მუწუკის მორჩენა გვიანამდე გაატანს: მერვე, მეცხრე და მათე დღეს აცრილ ბავშს სიცხეს აძლევს, აწუხებს და ცუდათ ძინავს. გამოცდილმა დედამ ეს ყველა კარგათ იცის და სრულიადაც არ შიშობს.

ყვავილის მუწუკის გარეშემო კანი ყოველთვის ცოტათ აწითლდება ხოლმე ვიდრე მუწუკი ჩირქით გაივსებოდეს, ზოგჯერ მოხდება, რომ სიწითლე მოედება თითქმის მთელ მკლავზე მხართან ახლო. ბავში წუხს და ტირის, რადგან

მკლავი უხურს და ექავება, ამისთანა შემთხვევაში დოქტორს უნდა მიმართოთ; დოქტორი წამალს მოგცემთ, სიწითლე დაუცხრება და ბავში მოიხვენებს.

იშვიათათ ისიც მომხდარა, რომ მუწუკის ჩირქი თავის დროზე არ შემხმარა და ყვავილის გარეშემო ადგილი დაწყლულებულა. ეს მოხდება მაშინ, როდესაც დედა სუფთათ არ უვლის ბავშს; პერანგს მალ-მალ არ უცვლის, ან კიდევ თითონ მოუსვენარი ბავში როგორმე დაიკაწრავს და ან მოიგლიჯვს ყვავილის მუწუკს. ამგვარათ დაწყლულებული ყვავილი და იმის მორჩენა დიდხანს გაატანს, თუ რომ დოქტორს არ აჩვენეთ, დოქტორი წამალს მოგცემთ და წყლული მალე მოხმება, მორჩება. ზოგჯერ ესეც მოხდება: ბავშვს რომ ყვავილს აუტრიან, ყვავილი არამცთუ აცრილ ადგილებზე, სხვაგანაც, ტანზე, ფეხებზე და მუტელზე, სწორეთ იმისთანავე ყვავილს გამოაყრის, როგორც მკლავზე აცრილ ადგილზე, მხოლოდ ცოტათი უფრო წვრილებს. ბევრ დედას ამისთანა გამოაყრის ძრიელ ეშინია, ვაი თუ ნამდვილი ყვავილი აუტრეს ჩემ ბავშსაო. ამ გვარ შემთხვევაში სრულიადაც არ უნდა შეშინდეთ. ეს კარგათ იცოდეთ, რომ ასაცრელი ჩირქი ძროხის ჩირქია და ამისთანა ჩირქით აცრილს არასოდეს ნამდვილი ყვავილი არ დაემართება. მშობელი ჩქარა რწმუნდება, რომ ბავშს არავითარი მძიმე ავანტიურა არ დამართვია და ტანზე გამოაყრილი მუწუკებიც უფრო ადრე რჩებიან, ვიდრე მკლავზე.

მ ა რ ც ხ ი

(ანტონ ჩეხოვიდან)



ღლია სერგეი პებლოვი და მეუღლე მისი კლეობატრა პეტროვნა კარებთან იდგენ და გაფაციცებით ყურს უგდებდენ. კარებს იქით კი, პატარა სასტუმროში, მათი ქალიშვილი ნატო და სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი სჩუპკინი, როგორც ეტყობოდა, ერთმანეთს სიყვარულს უცხადებდენ.

— ებმის! — ჩურჩულებდა პებლოვი, რომელსაც მოუთმენლობისგან აყრუოლებდა, და მალი-



მალ ხელებს ისრესდა.—გაიგე ხომ, პეტროვნა?, როგორც კი დაიწყებენ ლაპარაკს გრძნობაზე, შენ მაშინვე კედლიდან ხატი ჩამოიღე და გავსწიოთ დასალოცათ. მოვამწყვდიოთ... ხატით დალოცვა წმიდაა და დაურღვეველი... მაშინ კი თავს ველარ დაახწვეს, გინდ სასამართლოშიაც მიჩივლოს:

კარებს იქით კი ისმოდა შემდეგი ბაასი.

— თავი დაანებეთ თქვენ ჩვეულებას!— ეხუმრობოდა სჩუპკინი და თან ზოლიან შარვალს წუმწუმას უსვამდა ასანთებათ.— მე სრულიადაც არ მომიწერია თქვენთვის წერილები!

— რასაკვირველია! ვითომც მე თქვენ ხელს ვერ ვიცნობდე!— კისკისით და პრანჭვით ეუბნებოდა ქალიშვილი და მალი-მალ სარკეში აცქერდებოდა თავის სახეს.— მე მაშინვე მივხვდი! და მერე რა გასაოცარი ხართ! სუფთა— წერის მასწავლებლათ ითვლებიო, თქვენ თითონ კი ისეთი ხელი გაქვს, რომ თქვენი ნაწერი ქათმის ნასიარულევის კვალსა ჰგავს. როგორ ასწავლით წერას სხვებს როცა თითონაც ცუდათ წერთ?

— ჰმ!.. ეგ არაფერია! სუფთა წერაში უმთავრესი ხელი კი არ არის, უმთავრესი ისაა, რომ შაგირდებს ყურადღება არ გაეფანტოთ. იმას სახაზეს თავში უთავაზებ, იმას დააჩოქებ... ან კი რა არის სუფთა წერა! სულაც არაფერი! ნეკრასოვი მწერალი იყო, მაგრამ კაცს შერცხვება, იმის დაწერილს რომ დააცქერდეს.

— ნეკრასოვი სხვაა, თქვენ სხვა... (ამოიოხრებს) მწერალს მე დიდი სიამოვნებით მივთხოვდებოდი ის მუდამ ლექსებს დამიწერდა ხოლმე სახსოვრათ!

— თუ გნებავთ, მეც შემიძლია დაგწეროთ ლექსები.

— თქვენ რაზე შეგიძლიათ წერა?

— სიყვარულზე... გრძნობაზე... თქვენ თვლების შესახებ... რომ წაიკითხავთ— გადირვიოთ... ცრემლებს დაღვრით! ხელზე მაკონცინებთ პოეტური ლექსები რომ დაგიწერთ?

— დიდი საქმეა!.. გინდ ახლაც კი მაკოცეთ! სჩუპკინი წამოხტა და თვლებ დახუჭული დაეწაფა ფუნჩულა ხელს, რომელსაც კვერცხის საბნის სული უდიოდა.

— ხატი ჩამოიღე!— დაფაცურდა პებლოვი, მეუღლეს ნიდაყვი წაჰკრა, მეტი აღელვებისაგან ფერი ეცვალა და დაიწყო ლილების შეკვრა.— აბა, წავიდეთ!— ამასთანავე დაუყოვნებლივ კარები შეაღო.

— შეიღებო!.. წაიდუღუნა იმან, ხელების მალლა აპყრობით და ნამიან თვლების ჩქარ-ჩქარი

პარპალით.— ღმერთმა დაგლოცოთ, ჩემო შვილებო... იცოცხლეთ... იბედნიერეთ... იმრავლეთ...

— მეც... მეც გლოცავთ... წარმოთქვა დედამაც, რომელიც მეტი ბედნიერებისგან ტიროდა.— ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ძვირფასო! ოჰ! თქვენ მართმევთ ერთათ ერთ ძვირფას განძს! მიმართა მან სჩუპკინს.— გიყვარდეთ კი ჩემი ქალი... გებრალეობდეთ...

სჩუპკინმა მეტი გაკვირვებისაგან და შიშისგან პირი დააღო. მშობლების იერიში ისეთი მოულოდნელი და გაბედული იყო, რომ იმან ერთი სიტყვის თქმაც ველარ მოახერხა.

„გაგები! მომიმწყვდიეს!— გაუელვა იმას შიშისგან თავზარდაცემულს.— ახლა კი ჩაბარდი პატრონს, ძამია! თავს ვერ დაახწვე!“ და მორჩილებით თავი მოუხარა, გვეგონებოდათ იმის თქმა უნდოდა, „ინებეთ, მე დამარცხებული ვარო!“

— გლო... გლოცავთ... განაგრძო ისევ მამ და აცრემლდა.— ნატოჯან, ჩემო გოგო... გვერდით მოუდექ... პეტროვნა, ხატი მომწოდე.

მაგრამ აქ კი იმან ტირილი შეწყვიტა და სიბრაზისაგან სახე დაებრიცა.

— შე ჯირკვო!— გულმოსულათ შესძახა ცოლს.— შე თავრეტიანო! განა ეგ ხატია?

— უი, დიდება შენდა ღმერთო!


რა მოხდა? სუფთა-წერის მასწავლებელმა გაუბედავთ თავი მალლა აიღო და დაინახა, რომ ის გადარჩენილიყო: დედას სიჩქარით კედლიდან ხატის მაგიერ მწერალ-ლაჟენიკოვის სურათი ჩაძიოდა. მოხუცი პებლოვი და მეუღლე მისი კლიეპატრა პეტროვნა, სურათით ხელში, დარცხვენინი იდგენ და აღარც იცოდნენ რა ექნათ, მასწავლებელმა კი ისარგებლა ამ გარემოებით და თავს უშველა.

გ. ახალციხელი.

წერილი რედაქციის მიმართ

I.

ქნო რედაქტორა! უმარჩილესათ გონოვთ ამ მტრე შენიშვნას ადგილი დაუთმეთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალის“ ფურცელზე ჭეშმარიტების აღსადგენათ. „კვალის“ მე-40 №-ში დასტამებულია წერილი აკეთიდან, რომელიც რამდენიმეთ მე შეხება, როგორც მამასახლისის საზოგადოებისა და როგორც, მამასახლამე, გზებისა და სხვა და სხვა დაწესებულებათა მეთვალყურეს. ბანი კარესზანდუხტი წერს: მართალია გვაქვს ნიგოთისა და ჭანჭათის შემკერ-



თბილეთი გ. წერეთლისა.

ჩვენი ძველი გმირები

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილლერიის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში მიტროფანე ლალიძესთან.

გამოვიდა და იხილება

ახალი წიგნი

„ქართული პრესა“

წერილები ნოე ურდანიასი

გაწ. ამხან. „შრომის“. ფასი 25 კაპ.

თებელი გზა, რომლის ისტორია არა ერთხელ უაფიქსა გაზეთის ფურცლებზე აღწერილი, მარა საუბედუროთ ის ისევ იმ ყოფაშია როგორც წინეთ. ეს ამბავი სი-მართლეს მოკლებულია. მართალია აქ მხრდით ერთი რამ, სახელდობრის, რომ გაზეთის ფურცლებზე ამ გზის ისტორია ხშირათ იყო აღწერილი, მაგრამ გაზეთში წერილების წერამ გზა ვერ გააკეთა. გზის გაკეთებას დაჭირდა მრავალი მუშა ხელი, ხარჯი და დრო, რაც ადვილი მოსახერხებელი არაა დარბი გადამხდელებისათვის. ამისათვის ამ გზის გაკეთება ცოტა არ იყოს გაგრძელდა. მაგრამ დღეს ეს გზა გაკეთებულათ უნდა ჩავთვალოთ, რადგან მთელი გზა გაწმენდილია და მოსაკენჭათ საჭირო კენჭებიც საკმაოდ დაგროვილია თავთავის ალაგას. რთხი თვის წინეთ სოფელ ჭანჭათს დაეკადა ამ დროებით მარტო ამ გზის გაკეთება, რომელმაც მთელი სამუშაო ხარდათ გადასცა რე ჭანჭათელ კომლთაგან. გასაკეთებულათ, რომელთაც ეს გზა დღემდე იმდენათ შეაკეთეს, რომ დღეს მარტო კენჭების გაშლა და აკლია და 15 ნოემბრისთვის ჩავიბარებთ სრულათ გაკეთებულს.

აკეთის მამასახლისი პავლე თოხაძე.

II.

„კვალის“ 36 №-ში კორესპონდენცია იყო მოთავსებული სოფელ ძიმიითიდან, რომელშიაც ცუდათ იხსენებოდა ადგილობრივი მამასახლისი. ამ კორესპონდენციის დაწერას მე მწამებენ, რის ძალით კიდევ შექადნის ბევრი სხვა-და-სხვა სასჯელით; სასურველი იყო რომ ერთი და რისი ხმას არ დამოხრჩილებოდა საზოგადოება, ამისათვის ვთხოვ რედაქციას გამოაქვეყნოს ვინც არის ამ კორესპონდენციის დაწერი ს. ძიმიითიდან.

ძიმიითის ერთ კლასიანი სკოლის მასწავლებელი დავით ივანეს ძე ერქომაიშვილი.*)

„კვალის“ ფოსტა

იუკავი. ბ. რაჟ. გ-ძეს: თქვენი წერილი ვერ იბეჭდება...

ბ. ახოსვირელს. თქვენი საპი ლექსი არ დაიბეჭდება.

„კვალის“ და „ჩვენი“ რედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

- თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)
- აღბოში „ბუნება სურათებში“ ედ. 1 მ. 20 კ. (გასაგზ. 20 კ.)
- პატარა ღორდი 30 პ.
- ჩვენი ძველი გმირები 30 კ.
- თეთრი და ზანგი 15 კ.
- სოლომონ მეფე 10 პ.
- ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა 10 პ.

* რედაქციას არა აქვს უფლება გამოაქვეყნოს ავტორთა ვინაობა. ეს პირდაპირ მათი საქმეა. რედ.

გორგვი წერეთლის მოთხრობა

მცხეთის წინეთ

გამოვიდა ცალკე წიგნაკათ. ფასი 5 კაპ.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ის იჯარით გასცემს ქალაქის რთხ მაღაზიას, ბაზრის ქუჩის ბოლოს, ალექსანდროვის ბაღთან.

ვისაც სურს იჯარით აღიღოს ეს მაღაზიები, უნდა განაცხადოს თავისი პირობები ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში.

(3-3)

თფილისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის პირველ დაწეებით სასწავლებლებში გალობის მასწავლებელია საჭირო.

ვისაც სურს ხსენებულ სასწავლებლებში გალობის მასწავლებლობა, თხ ივენ, მიჭმართონ თფილისის ქალაქის გამგეობას.

(3-1)

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.